ურბანულ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკა თბილისის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების მაგალითზე

ურბანული
კვლევების
ცენტრი

ურბანულ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკა თბილისის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების მაგალითზე

2021

პროექტი: „ურბანული განვითარების მართვის მუნიციპალური სისტემა: საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება“ ხორციელდება „ურბანული კვლევების ცენტრის (URC)“ მიერ „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით.

ავტორის მიერ ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

დოკუმენტის ავტორი: ნათია კეკენაძე
პასუხისმგებელი პირი: ნანო ზაზანაშვილი

აკრძალულია პუბლიკაციაში მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ურბანული კვლევების ცენტრის (URC)“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ურბანული კვლევების ცენტრი (URC)

ელ-ფოსტა: urbanrecenter@gmail.com
https://www.facebook.com/urbanrecenter

სარჩევი

შესავალი 4

1. მრჩეველთა საბჭოების ფორმირება თბილისში 5

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სირთულეები 6

3. საერთაშორისო გამოცდილება. 13

დასკვნა. 15

შესავალი

2015 წლიდან საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმისა და დეცენტრალიზაციის მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მოქალაქეებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონით დაფუძნდა მოქალაქეთა მონაწილეობის ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც მანამდე არ არსებობდა. ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვამ შესაძლებლებელი გახადა მონაწილეობით პრაქტიკაზე დაკვირვება და მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გამოკვეთა. სირთულეები ნათლად ჩანს ურბანული დაგეგმვის პროცესში, სადაც ინტერესთა კონფლიქტი და ქალაქის სივრცეებისთვის ბრძოლა, ქალაქის მართვა და დაგეგმარება, სხვა მთელ რიგ ნაკლოვანებებთან ერთად, მოქალაქეებისგან გამიჯნულად მიმდინარეობს.

მდგრადი ურბანული განვითარების კონცეფციები, ამ მიმართულების პროფესიული სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევები აქტიურად განიხილავს ურბანულ პროცესში მოქალაქეების ჩართულობას და, ამ გზით, ქალაქის მართვა-დაგეგმარების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდის მნიშვნელობას (Medeiros & Zwet, 2020). თანამონაწილეობითი პრაქტიკის დანერგვისას, სამართლებრივი-ნორმატიული ბაზისის ფორმირება მნიშვნელოვანი საწყისი ეტაპია. თუმცა, ინსტიტუციური მხარდაჭერისა და ქმედითი ინსტრუმენტების შემუშავების გარეშე შეუძლებელი იქნება მოქალაქეთა რეალური ჩართულობის უზრუნველყოფა. ურბანულ პროცესებში მოქალაქეების ჩართვის შესახებ დისკუსიები აქტიური და ქმედითი რომ გახდეს, საჭიროა გამოვიკვლიოთ ამ ტიპის მექანიზმების ინსტიტუციონალური განვითარება და საზოგადოების ადგილი ამ დინამიკაში. ვუპასუხოთ კითხვებს: როგორია პრაქტიკა ამ მიმართულებით და რა შეგვიძლია ვისწავლოთ დღეს არსებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოცდილებებით?

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ 2015 წლის 22 ივლისს შეტანილი ცვლილებებით, მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებულები არიან ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა უზრუნველყონ. საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მოქალაქეების მიერ ქალაქ თბილისში საუბნო დონეზე ურბანულ საკითხებზე მსჯელობისა და პრობლემების გადაჭრის პლატფორმას - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (სმს) - გვთავაზობს. კოდექსი გამგეობებს ავალდებულებს შექმნან მოქალაქეთა

ჩართულობისთვის საჭირო ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85 , ნაწილი 4., 2015). **მიუხედავად არსებული სამართლებრივი მზაობისა, ქალაქ თბილისის გამგეობებში თანამონაწილეობის ეს პლატფორმა მეტწილად ფორმალურ ხასიათს ატარებს და ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტურ ჩართულობას ურბანული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.**

ტექსტის პირველი და მეორე ნაწილი ეთმობა საკანონმდებლო სივრცისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს არსებული პრაქტიკის მიმოხილვას, მესამე ნაწილში კი წარმოდგენილია საერთაშორისო გამოცდილება ქალაქ ვენის (ავსტრია) და ქალაქ მანჰაიმის (გერმანია) საბჭოების მაგალითზე. ტექსტში, მეორადი ლიტერატურის კვლევის, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ჩატარებული ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუებისა (5 ინტერვიუ) და გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნება საბჭოების, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების სისტემური პრობლემები და შესაძლებლობები.

1. მრჩეველთა საბჭოების ფორმირება თბილისში

საქართველოში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები მერის/გამგებლის სათათბირო ორგანოა. მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ აქვს სავალდებულო ხასიათი და მერს/გამგებელს რეკომენდაციის სახით მიეწოდება. საბჭოს შემადგენლობა უნდა დაკომპლექტდეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისგან, მეწარმე იურიდიული პირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით. კოდექსში გაწერილია, რომ საბჭოებში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, რაც გენდერული თანასწორობის დაცვას უზრუნველყოფს. გათვალისწინებულია საბჭოებში შშმ პირების, ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების, საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლების გაერთიანების შესაძლებლობა. საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით. სხდომები უნდა გაიმართოს არანაკლებ 3 თვეში ერთხელ; ამასთანავე, მერია/გამგეობა ვალდებულია საბჭოს სხდომების ოქმები გამოაქვეყნოს სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85/1. ნაწილი 3, 2015). საბჭოებში მერმა განსახილველად უნდა წარადგინოს სივრცითი დაგეგმარების

დოკუმენტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები და ა.შ.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების პრაქტიკა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განსხვავებულია. მრჩეველთა საბჭოები, როგორც წესი, უშუალოდ მერის სათათბირო ორგანოს წარმოადგენს, ქალაქ თბილისში კი ისინი საუბნო გამგეობების დონეზეა შექმნილი. რაიონულ დონეზე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი საბჭოს დებულებით განისაზღვრება, რომელსაც რაიონის გამგებელი ამტკიცებს.

თბილისის გამგეობების სმს-ს წევრების ასარჩევად კონკურსი ცხადდება. კონკურსის გამოცხადებამდე იქმნება კომისია, რომელიც აარჩევს სმს-ს წევრებს. თავად საკონკურსო კომისიის წევრთა შერჩევისა და დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას რაიონის გამგებელი იღებს. კონკურსის გამოცხადების შემდეგ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტები და შესაბამისი რაიონის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები 50 მხარდამჭერის ხელმოწერა (საბურთალოს რაიონის გამგეობა); მეორე ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში კი მათ გასაუბრება ექნებათ კომისიის წევრებთან.

თბილისის მუნიციპალური რაიონების სმს-ს ოქმებში გაწერილია შეხვედრის მიმდინარეობები. პირველ რიგში, ხდება დღის წესრიგის განსაზღვრა, შემდგომ - საბჭოს წევრების მოსაზრებების გაცნობა, დისკუსია, მოსაზრებების ოქმში შეჯამება და რეკომენდაციის სახით გამგებლისთვის მისი გაგზავნა. მაგალითად, საბურთალოს, გლდანის, დიდუბის ოქმების დიდი ნაწილი ასახავს გამგებლების მიერ საბჭოს შეხვედრებზე დასწრებისა და ბიუჯეტის, სამართლებრივი აქტებისა თუ სხვა პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცნობის ფაქტებს. **თუმცა, ოქმების ნაწილი ინფორმაციას დისკუსიის მიმდინარეობისა და გამოთქმული მოსაზრებების შესახებ არ გვაწვდის.**

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სირთულეები (საბჭოების ოქმებისა და საბჭოს წევრთა ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე)

მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქის ათი გამგეობისთვის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნა კანონით გათვალისწინებული ვალდებულებაა, ათიდან სამ გამგეობაში (ვაკის რაიონის გამგეობა, კრწანისის რაიონის გამგეობა, სამგორის რაიონის გამგეობა)

ისინი დღემდე არ შექმნილა, შესაბამისად, ამ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობა საუბნო გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართვის შესაძლებლობას მოკლებულია. დანარჩენ გამგეობებში საბჭოები არასრულფასოვნად ფუნქციონირებენ. ამ მოსაზრებას ბოლო 3 წლის ოქმები და საბჭოების ყოფილ და მოქმედ წევრებთან ჩატარებული ინტერვიუებიც ადასტურებს. **სხდომები კანონით გათვალისწინებულზე ნაკლები სიხშირით იმართება - არ ხდება კანონითა და საბჭოების დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება; საბჭოს სხდომები ძირითადად გამგეობის მიერ გაწეული სამუშაოების თაობაზე ანგარიშების გაცნობას ემსახურება და შეხვედრებზე ნაკლებად არის წახალისებული საბჭოს წევრების მხრიდან საკუთარი ინიციატივების გაცნობა და განხილვა. ბუნდოვანია საბჭოს მიერ წარდგენილი რეკომენდაციებისა და ინიციატივების აღსრულების საკითხი. ხარვეზულია საბჭოს ოქმების პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა; საბჭოები ნაკლებადაა უზრუნველყოფილი საინფორმაციო მხარდაჭერით, რაც მათ შესახებ მოსახლეობის ნაკლებ ინფორმირებულობაში გამოიხატება.**

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების ოქმებში შეჯამებული საკითხები გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის წევრთა ჩართვის დინამიკის, საბჭოს საჭიროებებისა და რეკომენდაციების აღსრულების პრობლემატიკის შესახებ. მაგალითად, მაშინ როდესაც ზოგიერთი რაიონის სმს-ს რამდენიმე სხდომაზე მხოლოდ ერთი - თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებული საკითხის განხილვა მიმდინარეობს, საბურთალოსა და ისნის რაიონის სმს-ს ოქმებში პრობლემურ საკითხთა ჩამონათვალი რამდენიმეა და ეს დინამიკა შემდგომ ოქმებშიც არ იცვლება. ასევე საინტერესოა ისიც, რომ ზოგიერთ ოქმში ერთი და იმავე პრობლემების ჩამონათვალი მეორდება. მაგალითად, სკვერებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების საჭიროება, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ, მიუხედავად საბჭოს რეკომენდაციებისა, გამგეობას მათი მოთხოვნები არ დაუკმაყოფილებია. პრობლემების გარდა, განსაკუთრებით საინტერესოა ოქმებში ასახული მოქალაქეების განწყობები და ინიციატივები. მაგალითად, საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები თავად თხოვენ გამგეობას სამუშაო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ტრეინინგების ჩატარებას; ასევე, განიხილავენ გამგებლის მიერ წარდგენილ პროექტებს, გამოთქვამენ აზრს, შეაქვთ შესწორებები და ახალი რეკომენდაციით უგზავნიან გამგებელს.

ინფორმირებულობა, ჩართულობა და საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალეობა

თანამონაწილეობითი დაგეგმვის გასაზრდელად მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების გატარება არ კმარა, საჭიროა მოქალაქეების სათანადო ინფორმირებულობა, რომ მათ თავად გაუჩნდეთ მოთხოვნა ამ ტიპის მექანიზმების შექმნასა და ფუნქციონირებაზე. ისინი თავს საკუთარ საცხოვრებელთან უნდა აიდენტიფიცირებდნენ და უბნების საჭიროებებისთვის უნდა ერთიანდებოდნენ (Putting People First – Participatory Urban Planning, 2016). ქალაქ თბილისის გამგეობები ინფორმირებულობის გასაზრდელად განსხვავებულ სტრატეგიებს მიმართავენ: სიახლეების განთავსება ხდება ვებ გვერდზე, სხვადასხვა სოციალურ ქსელში (ფეისბუქი, იუთუბი). თუმცა, ვებგვერდები, გამჭვირვალობისა და ინფორმაციულობის თვალსაზრისით, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს (საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86 პრიმა მუხლი, 2015)

ვებგვერდები სისტემატურად არ ახლდება და არ/ან არასრულად ასახავს ინფორმაციას საბჭოსა და მისი ფუნქციონირების შესახებ. გამგეობების დიდი ნაწილი ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ათავსებს ფოტოებს საბჭოს შეხვედრის შესახებ, თუმცა ფეისბუქ პოსტი შეხვედრაზე განხილული საკითხების თაობაზე მწირ ინფორმაციას გვაწვდის. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისა და ფეისბუქ პოსტების გარდა, ზოგჯერ გამგეობები საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვა სტრატეგიასაც იყენებენ. მაგალითად, საბურთალოს რაიონის გამგეობამ მოსახლეობაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების პოპულარიზაციისთვის მოკლე საინფორმაციო ვიდეო რგოლი გადაიღო. ვიდეო რგოლი განთავსდა იუთუბზე და გაზიარდა ფეისბუქზეც. საბჭოს დაბალ ცნობადობასა და მისი არსებობის შესახებ მეტი ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობაზე მოსაზრებებს საბჭოს სხდომის ოქმებშიც ვაწყდებით. *„გამოითქვა მოსაზრება, რომ სმს-ს ცნობადობის და ფუნქციების გაზრდისთვის საჭიროა მისი წევრების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის“(ოქმი #19, 24მაისი, 2016).* ამ ინიციატივაში ჩანს წევრების სურვილი და გარკვეულწილად, მოლოდინიც საბჭოს წარმატებით ფუნქციონირებისა და, ცნობადობის გაზრდით, მისი ანგარიშვალდებულების ამაღლებისა. **გამგეობები ასევე არ ახდენენ აღსრულებული პროექტების სისტემატიზაციასა და მრჩეველთა საბჭოების საქმიანობასთან მათ დაკავშირებას. ამ ტიპის ინფორმაციის საჯარო გავრცელება მოსახლეობას საბჭოებში ჩართვის მეტ მოტივაციას და**

ინტერესს გაუჩენდა. გაზრდიდა ნდობას ამ მექანიზმისა და, ზოგადად, თანამონაწილეობითი პრაქტიკის მიმართ.

ამ ეტაპისთვის ინფორმაციის გავრცელების ქმედითი და ეფექტური საშუალებაა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნილი ფეისბუქ ჯგუფები. *„ჩვენი დასახლება საკმაოდ აქტიურია, ხშირი კომუნიკაცია გვაქვს გამგეობასთან. იდეები ძალიან ბევრია. მახსოვს, რომ ფეისბუქ ჯგუფში ერთ-ერთი მოქალაქისგან შევიტყვე მრჩეველთა საბჭოების შესახებ. უბნის პრობლემების გადაწყვეტის გზებს ვეძებდი და ასე გავწევრიანდი საბჭოში, ამ დიდი სურვილით.“ (რესპონდენტი #2, ქალი, 42 წლის)*

საბჭოს სხდომების ფორმალური ხასიათი

საბჭოებით მოსახლეობის ნაკლები დაინტერესება ან პასიურობა მხოლოდ არაინფორმირებულობით არაა გამოწვეული. მიზეზი შეიძლება საბჭოებში ჩართვის ნეგატიური გამოცდილება გახდეს, რომელიც მოსახლეობას ნდობას და ენთუზიაზმს უკარგავს არამხოლოდ ამ ტიპის მექანიზმის, არამედ თანამონაწილეობითი დაგეგმვის, როგორც პროცესის, მიმართ. *„საზოგადოებრივი საბჭოს წევრები ისხდნენ, როგორც მსმენელები და მაყურებლები. ჩვენგან, წევრებისგან, არავის არაფერი აინტერესებდა, საუბრობდა გამგებელი და რამდენიმე ოფიციალური პირი. ბოლო შეხვედრაზე არც მივსულვარ, ჩავთვალე, რომ აზრი აღარ ჰქონდა.“ (რესპონდენტი #5, ქალი)*

საბჭოს წევრებთან ინტერვიუებში გამოჩნდა, რომ საბჭოში გაწევრების მთავარი მოტივაცია უბანში არსებული პრობლემების მოგვარება და გამგებელთან პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობაა. წევრობის სურვილს ძირითადად ის მოქალაქეები გამოხატავენ, რომლებიც საბჭოს წევრობამდეც ქმნიდნენ სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფებს, მიმართავდნენ გამგეობას ოფიციალური განცხადებებით. ისინი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს აღიქვამდნენ, როგორც ინსტიტუციონალურ შესაძლებლობას, რომელსაც ზემოქმედების უფრო მეტი ბერკეტი ექნებოდა, ვიდრე ერთი მოქალაქის მიერ დაწერილ განცხადებას.

„მე მქონდა ხოლმე კონტაქტი გამგეობასთან, თუმცა მიწევდა ადგილზე მისვლა, მუდმივი მიწერ-მოწერა, დარეკვა, შეწუხება. როცა გავიგე, რომ ასეთი საბჭო არსებობდა, ვიფიქრე, რომ ხალხს გაგვიჩნდებოდა იმის საშუალება, რომ ერთად გველაპარაკა, დაგვესახა მიზნები. ჩემი პირველი რეაქციაც ეს იყო, რა კარგი ინიციატივაა”. (რესპონდენტი #3, ქალი 40 წლის)

„საზოგადოებრივ საბჭოებს არ აქვს ფუნქციური დატვირთვა, ძირითადად, დავდიოდით და ვისმენდით ბატონი გამგებლის ანგარიშს, რაში - რამდენი დახარჯა და ა.შ. წესით თათბირი უნდა ყოფილიყო საქმიანი, განხილვა უნდა გვქონოდა, შექმნილიყო სამუშაო ჯგუფები, მქონდა იდეები, თუმცა, ჩემდა სამწუხაროდ, არანაირი არაფერი." (რესპონდენტი #5, ქალი)

პრობლემურია გამგეობასა და საბჭოს შორის ურთიერთობა. **რიგ შემთხვევებში საბჭოს შეხვედრები გამგებელთან არ წარმოადგენს სათათბირო ფორმატის შეხვედრას და მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი აქვს.** საბჭოს ერთ-ერთი წევრი იხსენებს, რომ მისი მონაწილეობით ჩატარებული ექვსამდე შეხვედრიდან, მხოლოდ ერთი ითვალისწინებდა დისკუსიის ფორმატს, დანარჩენების შემთხვევაში საბჭოს წევრებმა გამგებლისა და გამგეობის წარმომადგენლების პრეზენტაცია მოისმინეს. *„ერთი-ერთზე თუ მომეცემოდა გამგებელთან საუბრის შესაძლებლობა, თორემ პრეზენტაციების განმავლობაშიც და შემდეგაც, ფორმატი არ ითვალისწინებდა დისკუსიას." (რესპონდენტი #4, კაცი 48 წლის)*

რეკომენდაციების აღსრულებასთან დაკავშირებული გამოწვევები

თანამონაწილეობითი ურბანული დაგეგმვა-დაგეგმარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი და შედეგი, მომავალში შესაძლო კონფლიქტების პრევენციაა. აღსრულების ნაწილი ამ პროცესის მთავარი რგოლია. ამდენად, მექანიზმების შემუშავებისას მნიშვნელოვანია, ნათლად იყოს განსაზღვრული მონაწილეობითი მექანიზმის ბერკეტები. საბჭოს წევრი ყველა რესპონდენტი მიუთითებს აღსრულების პრობლემაზე და, ამ კუთხით, საბჭოს რეალური ბერკეტების არარსებობაზე. საბჭოების დებულებებში ასევე არ არის განსაზღვრული, მაგალითად, როგორ მიმდინარეობს აღსრულების პროცესი, რა ტიპის გადაწყვეტილებების განხილვა ხდება გამგებლის, მიერ, ან იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოგვარდა რომელიმე პრობლემური საკითხი, განემარტებათ თუ არა მოქალაქეებს ამის მიზეზები. საინტერესოა ოქმი #12 საბურთალოს რაიონის გამგეობის 2016 წლის 5 ივლისით დათარიღებული კრებისა, რომელზეც პირდაპირ წამოიჭრა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების აღსრულებისა და გათვალისწინების პრობლემა. *„კრებამ მოისმინა: სმს წევრების მოსაზრება იმის შესახებ, რომ მათი რესურსი არ არის სათანადოდ გამოყენებული გამგეობების მიერ. ისინი ფიქრობენ, რომ საბჭოს უნდა გააჩნდეს რეალური ბერკეტები საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად",* - წერია ოქმში.

ოქმებში ასახული ინფორმაცია განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ჩანს მოსახლეობის განწყობის ცვლილება. მაგალითად, 2015 წლით და 2016 წლის პირველი ნახევრით დათარიღებულ ოქმებში მოქალაქეების მიერ ერთდროულად რამდენიმე პრობლემა და ინიციატივაა წარმოდგენილი, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის და სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე. ეს ენთუზიაზმი და მოტივაცია უკვე 2016 წელსვე ნაკლებად იგრძნობა. მოქალაქეებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ მათი აღქმით, **ძალიან მცირეა დიაპაზონი იმ პრობლემური საკითხებისა, რომელზე გავლენის შესაძლებლობაც მოქალაქეებს აქვთ.** მათი თქმით, ეს პრობლემა განსაკუთრებით ჩანს ურბანული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოთხოვილ ოქმების მიხედვით, მოსახლეობის მიერ შემდეგი საჭიროებებია დააფიქსირებული: მწვანე და სარეკრეაციო სივრცეების შექმნა; კონკრეტულ ქუჩებსა და უბნებში ტრანსპორტის დანიშვნა; გზებისა და საკანალიზაციო მილების შეკეთება; პრობლემური მშენებლობები; ზებრა გადასასვლელებისა და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა; კულტურული ცენტრების რეაბილიტაცია. საჭიროებებთან ერთად, მწვანე სივრცის შექმნასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობაზე საუბრობს საბჭოს ერთ-ერთი წევრი. *„თუმცა, როცა ხმამაღლა ვაჟღერებდი, გამგებელმა თქვა, რატომ მეჩხუბება სულ-ო, ჩემზე. აი, როცა არ ეთანხმები, აღიქმება ჩხუბად მათთვის. გულწრფელად ჰგონიათ, რომ რასაც თავად წყვეტენ, ეგ არის საუკეთესო. […] მაინც გაკეთდა ის სკვერი […] ეს იყო გამგებლის გადაწყვეტილება და როგორც თავად მოსწონდა, ისე გააკეთა.“ (რესპონდენტი #5, ქალი)*

ერთ-ერთმა გამგებელმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები მუნიციპალური სპორტული ობიექტის აშენებასთან დაკავშირებულ განხილვაზე მიიწვია. რესპონდენტი შეხვედრას ასე იხსენებს:

„დაგვიბარა გამგეობამ. […] ჩატარდა განხილვა. ჩვენ ვთქვით, რომ ეს არის დიდი ღია სივრცე, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ვსეირნობდით, ბავშვები თამაშობდნენ და ნაწილს არ გვინდოდა ამ სივრცის განაშენიანება. გაჟღერდა წინადადება რომ [ობიექტის] მშენებლობა, სხვა სივრცეში გადაეტანათ. რუკაც ჰქონდა გამგეობას მოტანილი. თუმცა, განხილვა განხილვად დარჩა, „ფიდბექი“ არ გვქონია და გამგეობამ, მაინც თავისი გადაწყვიტა და დაიწყეს აშენება.“ (რესპონდენტი #5, ქალი)

იყო შემთხვევა, როდესაც საბჭოს წევრებმა პრობლემურ მშენებლობასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის გამო გადაწყვიტეს, რომ, საბჭოსგან დამოუკიდებლად, ოფიციალური წერილით მიემართათ მერიის შესაბამისი

სამსახურებისთვის. თუმცა, უშედეგოდ. *„მივხვდით რომ საბჭოში განხილვამ შედეგი არ გამოიღო, ამიტომ რამდენიმე ადამიანმა, საბჭოსგან ცალკე, დავწერეთ წერილები. თუმცა, კორპუსი მაინც ააშენეს.“ (რესპონდენტი #2, ქალი, 42 წელი)*

„ჩვენს უბანში, ისევე როგორც ქალაქის სხვა ნაწილებში, ბევრი ისეთი მშენებლობაა, რაზეც გვაქვს დაფიქსირებული აზრი მოქალაქეებს, რომ არ გვინდა. პირველი რაც ახლა გამახსენდა იყო ჩვენი პროტესტი საზოგადოებრივი სივრცის დასაცავად. ვიცავდით ბავშვების საფეხბურთო მოედანს, რომელიც მოიჭრა იმის გამო, რომ კორპუსი აშენდა და ამ საფეხბურთო მოედნის ნაწილიც „წაიღო“. ახლა ბავშვები თამაშობენ შეკვეცილ საფეხბურთო მოედანზე, ამ კორპუსში მცხოვრები ჩვენი მეზობლები კი ბავშვებს ეუბნებიან, ნუ ხმაურობთო.“ (რესპონდენტი #5, ქალი).

დღეის მდგომარეობით, ქალაქში რაიონების დონეზე შექმნილი შვიდი საბჭო შესაძლებლობაც არის და გამოწვევაც. მნიშვნელოვანია, რომ უბნის დონეზე ხდება პრობლემური საკითხების განხილვა, თუმცა, ამავე დროს, შეიძლება თავი იჩინოს კოორდინაციისა და მერიასთან კომუნიკაციის პრობლემებმა, ვერ მოხდეს ისეთი საკითხების გადაჭრა, რომლებიც სცილდება მხოლოდ გამგეობის კომპეტენციას. ამ ვითარებაში, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა თბილისის მერიას ეკისრება. მერია, რასაკვირველია, უნდა ფლობდეს ინფორმაციას გამგეობებში არსებული საბჭოების შესახებ. საბჭოები მერიისთვის დღის წესრიგში მდგარი საჭიროებებისა და მოქალაქეთა თვალით დანახული პრობლემის მოგვარების საშუალებათა გაცნობის დამატებითი შესაძლებლობაა. რაც, თავის მხრივ, საზოგადოებასთან შემდგომ კომუნიკაციას, კონკრეტულ საჭიროებაზე მუშაობის პროცესსა და სამომავლო ურთიერთობებს გაადვილებს და გაზრდის მოსახლეობის ნდობას.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სხვა ქალაქებში მრჩეველთა საბჭოები უშუალოდ მერიის სათათბირო ორგანოს წარმოადგენენ, რაც საშუალებას იძლევა, შედგეს პირდაპირი კომუნიკაცია მერთან და საბჭოს ფარგლებში იქნას განხილული მსხვილმასშტაბიანი ქალაქთმშენებლობითი პროექტები. თბილისის საბჭოები, რომლებიც გამგებლის სათათბირო ორგანოს წარმოადგენენ, ქალაქთმშენებლობით გადაწყვეტილებებზე გავლენის შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. თბილისის გამგეობებზე დელეგირებული უფლება-მოვალეობები არ ითვალისწინებს ასეთი ტიპის გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. ამ მიმართულებით გამგეობის ჩართულობა პრაქტიკულად ნულოვანია. შესაბამისად, უბნის დონეზე, მოქალაქეებსაც ავტომატურად ეზღუდებათ ზეგავლენის საშუალებები.

საბჭოების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება

ქალაქ თბილისის შემთხვევაში, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების ფუნქციონირების პროცესში მონიტორინგის შესაძლებლობაც უგულვებელყოფილია. მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის ოფიციალური წერილის (N10-01210223212) შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, მერიაში არცერთი სტრუქტურული ერთეული არ არის პასუხისმგებელი საბჭოების ფორმირებაზე. კვლევის ფარგლებში თბილისის მერიიდან ორჯერ იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია იმის თაობაზე, განხორციელდა თუ არა გამგეობებში მოქმედი მრჩეველთა საბჭოების ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასება. თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია არ მოუწოდებიათ, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამგვარ მონიტორინგს მერია არ ახორციელებს (კანონით, მერიას და გამგეობას არ აქვთ საბჭოს ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასების ვალდებულება). მონიტორინგის არარსებობა გადაჯაჭვულია აღსრულების პრობლემატიკასთან. ამდენად, სასურველია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების ეფექტიანობისა და, ამასთანავე, გამგეობების მხრიდან ანგარიშვალდებულების შესრულების მონიტორინგი განხორციელდეს ცალკეული სტრუქტურის მიერ, რომელიც კოდექსით გათვალისწინებული მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმების გამოყენებით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან ერთად, შეეცდება თანამონაწილეობითი დაგეგმვის სრულყოფას. ამ სტრუქტურის მოვალეობა უნდა იყოს საბჭოების ფუნქციური გამართულობის, მოქალაქეთა განწყობის, მათი ჩართულობის ხარისხისა და ეფექტიანობის მუდმივი შესწავლა, აღსრულებული პროექტების სისტემატიზაცია და მექანიზმის დახვეწის რეკომენდაციების შემუშავება.

3. საერთაშორისო გამოცდილება

დღეს ქალაქების მართვა-დაგეგმარებაში საზოგადოების ჩართულობა დემოკრატიული მმართველობის თანმდევ პროცესად მიიჩნევა. თუმცა, რთულია გარკვევა, ზუსტად როგორი სტრუქტურაა საჭირო ურბანული პროცესების სწორად მართვისთვის და ამ მიმართულებით წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრისათვის. ამ თვალსაზრისით, ქალაქები, მათი სოციალური თუ ეკონომიკური რეალობიდან, ამასთანავე, ისტორიიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებენ. ხშირ შემთხვევაში კი, არათუ მთელი ქალაქის, არამედ მცირე უბნის თანამონაწილეობით დაგეგმვას კონკრეტულად იმ უბნის ლოკალური სპეციფიკის გათვალისწინება სჭირდება.

საერთაშორისო გამოცდილებით, მონაწილეობითი დაგეგმვის საუკეთესო პრაქტიკა მჭიდროდ უკავშირდება: (1) ინფორმირებულ საზოგადოებას, რომელსაც აქვს ინსტიტუტების მიმართ ნდობა; (2) მონაწილეობით ინსტრუმენტს, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტული რაიონის სპეციფიკაზე და მასში მონაწილეებს მრავალფეროვან სტრატეგიებს შესთავაზებს; (3) აღსრულების, მონიტორინგისა და შეფასების გამჭვირვალობას.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების მსგავსი სტრუქტურული მექანიზმები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში შეგვიძლია მოვიძიოთ. მათი არსებობის მიზანი მცირე რაიონებისა და უბნების წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფაა. მაგალითად, ქალაქ მანჰაიმის (გერმანია) მერმა, პიტერ კურცმა 2008 წელს პროგრამა „Change" (ცვლილება) გაატარა (Mannheim revolutionises municipal activities, 2010). ეს პროგრამა 40 სხვა პროექტს აერთიანებდა და მრჩევლებისა და პროფესიული კავშირების დახმარებით ხორციელდებოდა. მართვაში ჩართულები იყვნენ მოქალაქეები, მედია ასოციაციები, კომპანიები, ქალაქის ადმინისტრაცია და პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები. ქალაქ თბილისის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების ლიმიტირებულ შესაძლებლობებზე უკვე ვისაუბრეთ. მსგავსად ამისა, მანჰაიმშიც საბჭოებს მხოლოდ სურვილის დონეზე შეეძლოთ პოზიციების დაფიქსირება, საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ საკრებულო და მერია იღებდა. საბჭოების რეფორმირების შემდეგ, მათთვის გამოიყო ყოველწლიური ბიუჯეტი - 200 ათასი ევრო, რაც მნიშვნელოვანი იმპულსი და მოტივი აღმოჩნდა იმისა, რომ რაიონის მაცხოვრებლებს სხვადასხვა იდეებით მიემართათ საბჭოსთვის (Stadtbezirksbudget, 2010).

ქალაქ ვენის (ავსტრია) მერიის მიერ შემუშავებულ 2025 წლის ურბანული განვითარების დოკუმენტში მონაწილეობითი დაგეგმვა სტრატეგიულ კომპონენტად არის აღიარებული. არსებობს ე.წ „ურბანული ლაბორატორიები" - „ჭკვიანი" ქალაქის მრჩეველთა საბჭოები (Smart City Advisory Boards), რომლებიც ქალაქის კონკრეტულ უბნებში მუშაობენ მოქალაქეებთან, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. თანამონაწილეობითი დაგეგმვა „ონლაინ" სივრცეში მიმდინარეობს. მონაცემთა დამუშავების თანამედროვე მეთოდებით ხდება მოქალაქეების საჭიროებების პრიორიტეტიზაცია. ამ საბჭოების ფუნქცია, ამასთანავე, ურბანულ დაგეგმვა-დაგეგმარებაში ჩართული ადამიანების ციფრული წიგნიერების დონის ამაღლება და მოქალაქეებთან ერთად ქალაქის მართვასა და ფუნქციონირებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაა (Vienna Municipal Administration, 2019). ვენაში ასევე მოქმედებს სამეზობლოების მართვის სამსახურები

(Neighbourhood Management Offices), რომლებიც სამეზობლოების დონეზე უზრუნველყოფენ მოქალაქეების მხრიდან ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვას. სამეზობლოების მართვის ოფისები ფოკუსირებულებია მონაწილეობითი დაგეგმვის შესაძლებლობებისა და პროცედურების სახელმძღვანელო პრინციპების შექმნაზე; სხვადასხვა ფორმატის - საინფორმაციო, სახალისო, შემეცნებითი - შეხვედრების ორგანიზებაზე.

ბუნებრივი რესურსებისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ვენის უნივერსიტეტის ტრანსპორტის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ასტრიდ გუნემანი (Astrid Gühnemann) ერთ-ერთ საექსპერტო ინტერვიუში ამბობს, რომ ვენაში ურბანულ დაგეგმვა-დაგეგმარებაში მოქალაქეების ჩართვის მექანიზმების მუშაობა მეტწილად მოსახლეობის უფლებამოსილების (empowerment) ზრდაზეა დამყარებული. „საზოგადოებას სჭირდება ინფორმაცია. უნდა მოვიზიდოთ მოქალაქეები, მათი ნდობა დავიმსახუროთ, ვაჩვენოთ, რომ მონაწილეობითი დაგეგმვა პრაქტიკაში, რეალურად მუშაობს. პირველ რიგში, საჭიროა გამოვნახოთ საერთო ენა. არ ვესაუბროთ ისეთი ტერმინებით, როგორიცაა „საჯარო სივრცის თავისებურებები“, „კოოპერაცია“ და „კო-იმპლემენტაცია“ და ა.შ. მონაწილეობის პროცესის ენა და ჩვენი პრეზენტაციებიც სრულად უნდა იყოს მორგებული და ადაპტირებული ადგილობრივი მაცხოვრებლებზე. დავპატიჟოთ ისინი პიკნიკებზე, გამოფენებზე და ვესაუბროთ „პარკებზე“, „ქუჩებზე“ და „შენობებზე“. მენდეთ, ისინი აუცილებლად მოვლენ.“

დასკვნა

მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი სავალდებულო მექანიზმის, მრჩეველთა საბჭოების კვლევამ და 5 წლიანმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ქალაქ თბილისის გამგეობებში საბჭოების საქმიანობის ხარვეზები გამოწვეულია მოსახლეობის არაინფორმირებულობით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა თუ რეკომენდაციების სუსტი ლეგიტიმაციით, გამგეობასა და საბჭოს შორის კომუნიკაციის ხარვეზებით. საბჭო სათათბირო ორგანოა და მისი რეკომენდაციების მიმართ გამგეობისა და მერიის მხრიდან ღიაობა საბჭოს, როგორც თანამონაწილეობითი მექანიზმის, ფუნქციის აღსრულებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მოქალაქეების ნაწილი საუბნო გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართვის შესაძლებლობას მოკლებულია, რადგან რიგ გამგეობებში, მიუხედავად საბჭოების შექმნის

ვალდებულებისა, ისინი საერთოდ არ შექმნილა. ამასთან, მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეების ინფორმირებულ და ეფექტიან ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ფრაგმენტულად მიმდინარეობს საბჭოების ფუნქციების, შესაძლებლობების შესახებ აქტიური საინფორმაციო კამპანიები, სისტემატურად არ ახლდება ინფორმაცია გამგეობების ვებგვერდებზე და არასრულია სოციალურ ქსელებში განთავსებული სიახლეები საბჭოების შესახებ. ინფორმირებულობასთან ერთად, პრობლემურია საბჭოს ფუნქციონირების დაბალი ეფექტიანობაც. რაც, პირველ რიგში, საბჭოს შეხვედრების დაბალი სიხშირით, არარეგულარული და ფორმალური ხასიათით გამოიხატება. ხშირად, საბჭოს წევრებს სხდომებზე არ აქვთ საკუთარი ინიციატივების წარდგენისა და განხილვის შესაძლებლობა. მცირეა იმ პრობლემური საკითხების ჩამონათვალი, რომელზე გავლენის შესაძლებლობაც მოქალაქეებს აქვთ. არ არის განსაზღვრული რეკომენდაციების აღსრულების პროცესი, ის თუ, რა ტიპის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს განიხილავს ან ითვალისწინებს გამგებელი.

მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა საკითხით დაინტერესებისა და საბჭოს მიმართ არსებული მოლოდინის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ მექანიზმის ფართო შესაძლებლობებზეც. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს ფორმალურად ძალაუფლება არ გააჩნია, შეხვედრებზე წარმოდგენილი მოსაზრებები გამგეობისთვისა და ქალაქის მერიისთვის ძალიან ფასეულია. საბჭოს წევრებს აქვთ ის „ცოდნა“ და „გამოცდილება“, რაც შეიძლება არ ჰქონდეთ ექსპერტებს, საჯარო მოხელეებს. საბჭოს არსებობა საზოგადოების განწყობებზე მუდმივი დაკვირვების შესაძლებლობას ქმნის. ამ შესაძლებლობის განვითარებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ ქალაქ ვენის მსგავსად, თანამონაწილეობითი დაგეგმვის პრიორიტიზაცია სტრატეგიული დოკუმენტების დონეზე ხდებოდეს. ეს გახდიდა იმ ტიპის ინსტიტუციონალური რგოლის შექმნის საჭიროებას, რომელიც სტრატეგიით გაწერილი თანამონაწილეობითი დაგეგმვის მიზნებისა და ამოცანების აღსრულების ეფექტურ გზებს შეიმუშავებდა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის მაგალითზე, იზრუნებდა მის სრულყოფაზე და მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტრატეგიებისა თუ გამგეობების წარმომადგენლების სხვა უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

მოსახლეობის მონაწილეობისთვის კიდევ ერთი აუცილებელი წინაპირობა საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებაა. მრავალ ქვეყანაში, მოქმედებს სპეციალური კანონები, რომლებიც მექანიზმების შემუშავების ვალდებულებასა და გაწერილ პროცედურებს, ასევე საზოგადოების ინფორმირებას უსვამს ხაზს. დაგეგმვის პროცესში

ჩართვის სიხშირე კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საბჭოების ფუნქციონირების ეფექტურობაზე. მოქალაქეთა ჯგუფების ერთობლივ მუშაობას ქალაქის პრობლემებთან დაკავშირებით სასურველია ციკლური ხასიათი ჰქონდეს, რათა მათთვის შეთვისებადი გახდეს ამ ტიპის „ქცევა“ და, ინსტიტუციონალური მექანიზმების განვითარებასთან ერთად, მოქალაქეების მონაწილეობის ხარისხი და ეფექტიანობაც გაუმჯობესდეს.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესაძლებლობის განვითარებისთვის შეიძლება შეიქმნას პროგრამული დაფინანსება, ქალაქ მანჰაიმის მსგავსად, ან ვენის მაგალითზე მოხდეს სხვადასხვა ტექნოლოგიური და ინოვაციური მეთოდის გამოყენებით თანამონაწილეობის მექანიზმით საზოგადოების დაინტერესება. პანდემიის კონტექსტში კვლავ აქტუალური გახდა მსოფლიოში SMART მიდგომების („ჭკვიანი” ქალაქის ელემენტების) დანერგვა ქალაქების მართვასა და დაგეგმარებაში. ასეთი სიახლეები შეიძლება კომბინირდებოდეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებთან და შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ციფრული პლატფორმების შექმნაში (მობილური აპლიკაციები, ინტერაქტიული ვებ-გვერდი, ინტერაქტიული რუკა). ურბანულ დაგეგმვა-დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის მცირე და წარუმატებელი გამოცდილების გათვალისწინებით, პრიორიტეტული უნდა იყოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც მექანიზმის, ფუნქციური დახვეწა და განვითარება. ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მოქალაქეების მონაწილეობის პრაქტიკის გამტკიცებაში. აღნიშნული მიდგომები მართვა-დაგეგმარების სხვა სფეროებში გაზიარდება, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და თანასწორი ცხოვრების უზრუნველყოფისკენ მნიშვნელოვან ცვლილებებს შეუწყობს ხელს.

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, ასევე სამოქალაქო მრჩველთა საბჭოების დებულებები და ოქმები, იხილეთ ბმულზე.

ბიბლიოგრაფია

Medeiros, E., & Zwet, A. v. (2020, July 24). Sustainable and Integrated Urban Planning and Governance in Metropolitan and Medium-Sized Cities. *DINÂMIA'CET—IUL—Centre for Socioeconomic and Territorial Studies, Instituto Universitário de Lisboa (ISCTE), 1649-026 Lisboa, Portugal*.

Vienna Municipal Administration. (2019). *Smart City Wien Framework Strategy.* Vienna: ISBN 978-3-903003-53-8. Retrieved from https://www.wien.gv.at/stadtentwicklung/studien/pdf/b008552.pdf

Putting People First – Participatory Urban Planning. (2016, June 13). Retrieved from www.participatory.org: https://parcitypatory.org/2016/06/13/participatory-urban-planning/

Mannheim revolutionises municipal activities. (2010). Retrieved თებერვალი 2020, from https://www.mannheim.de/en/shaping-the-city/change2

Stadtbezirksbudget. (2010). Retrieved თებერვალი 2020, from https://www.mannheim.de/de/stadt-gestalten/politik/bezirksbeirat/stadtbezirksbudget

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85 , ნაწილი 4. (2015). Retrieved თებერვალი 2020, from https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=54

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85/1. ნაწილი 3. (2015). Retrieved თებერვალი 2020, from https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=54

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86 პრიმა მუხლი. (2015). Retrieved თებერვალი 2020, from https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=54